

ატენის ხეობაში, ტყის მასივში გაჩენილი ხანძრის ორივე კერა ლიკვიდირებულია

06 სექტემბერი 2018

ატენის ხეობაში, ტყის მასივში გაჩენილი ხანძრი უკვე ლიკვიდირებულია. ხანძრის გაჩენის პირველივე წუთებში, ოპერატიულად განხორციელდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველების, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებისა და ეროვნული სატყეო სააგენტოს რეინჯერების მობილიზება. რთული რელიეფის მიუხედავად, ხანძარსანინალმდეგო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის ერთობლივი ინტენსიური მუშაობით, ცეცხლის ლიკვიდირება რამდენიმე საათში გახდა შესაძლებელი.

ადგილზე იმყოფებოდნენ და ხანძრის ქრობის პროცესის მართვაში მონაწილეობას იღებდნენ შიდა ქართლის გუბერნატორი გიორგი ხოჯევანიშვილი, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი მამუკა სალარეიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

შიდა ქართლის გუბერნატორის, გიორგი ხოჯევანიშვილის ინფორმაციით, ხანძარი დაახლოებით 8 ჰექტარზე გავრცელდა:

„ცეცხლი ეკიდა დაახლოებით 8 ჰექტარამდე ფართობს, თუმცა ძირითადად ტყის ქვედა საფარი დაინვა. ნახანძრალი ტერიტორიის მონიტორინგისა და პრევენციის მიზნით, ადგილზე რჩება ცოცხალი ძალა და ხანძარსანინალმდეგო ტექნიკა. ძლიან მნიშვნელოვანია, რომ რთული რელიეფის პირობებშიც დროულად მოხდა მეხანძრე-მაშველებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მობილიზება, რამაც ფაქტობრივად, ტყე სრულად გადაარჩინა,“ - განაცხადა გიორგი ხოჯევანიშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით ნივთის დაზიანების ან განადგურების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 188-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.